დამტკიცებულია“ სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის
ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის 08/04/2020 წ. N02-03/09 ბრძანებით

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ონლაინ მედიის სამსახურის

დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს დებულება განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს (შემდგომში ,,მაუწყებელი“) ონლაინ მედიის სამსახურის (შემდგომში ,,სამსახური“) მიზნებს, ამოცანებსა და ფუნქციებს, აწესრიგებს სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს;
2. სამსახური წარმოადგენს მაუწყებლის სტრუქტურულ ერთეულს;
3. სამსახური თავისი მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისას წარმოადგენს მაუწყებელს და ანგარიშვალდებულია მაუწყებლის დირექტორის წინაშე;
4. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებით, ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით, მაუწყებლის ქცევის კოდექსით, მაუწყებლის დებულებით, მაუწყებლის დირექტორის სამართლებრივი აქტებით, მაუწყებლის შინაგანაწესით, წინამდებარე დებულებით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

მუხლი 2. სამსახურის მიზანი, ამოცანები და ფუნქციები

1. სამსახურის საქმიანობის მიზანია

გაზარდოს მაუწყებლის სატელევიზიო არხის, რადიოსამაუწყებლო არხის და ცალკეული სატელევიზიო და რადიო პროგრამების ცნობადობა და რეიტინგი ინტერნეტ-მომხმარებელთა შორის.

2. სამსახურის ძირითადი ამოცანებია -

ა) პერიოდულად შეიმუშაოს და განახორციელოს მაუწყებლის ოფიციალური ვებ-გვერდის ფუნქციონალის განვითარებისათვის აუცილებელი პროექტები და წინადადებები;

ბ) მაუწყებლის სატელევიზიო და რადიო პროგრამებისთვის შექმნას ცალკეული გვერდები პოპულარულ სოციალურ ქსელ(ებ)ში და ცალკეული ვიდეოარხები მაღალრეიტინგულ ვიდეოჰოსტინგ(ებ)ზე;

გ) მოიზიდოს და დააინტერესოს ინტერნეტ-მომხმარებელი მაუწყებლის ტელე-რადიო პროდუქციით.

3. სამსახურის ძირითადი ფუნქციებია

ა) მაუწყებლის სატელევიზიო და რადიო პროგრამების ცალკეული გამოშვებების, ანონსების, პრომოუშენის რგოლებისა და მასთან დაკავშირებული მულტიმედია პროდუქტების რეგულარული განთავსება მაუწყებლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, სოციალურ ქსელ(ებს)ა და ვიდეოჰოსტინგ(ებ)ზე შესაბამისი პროგრამების შემოქმედებით ჯგუფებთან (პროდიუსერებთან, ავტორებთან, რედაქტორებთან, რეჟისორებთან) კოორდინაციით;

ბ) სატელევიზიო და რადიო არხების პრომოუშენისა და მასთან დაკავშირებული მულტიმედია პროდუქტების ონლაინ სივრცეში პოზიციონირების უზრუნველყოფა სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახურთან და რადიომაუწყებლობის სამსახურთან კოორდინაციით;

გ) აუდიტორიის მოზიდვა, უკუკავშირის უზრუნველყოფა და აუდიტორიის ლოიალურობის ამაღლება ვებ-გვერდის, ცალკეული სატელევიზიო და რადიო პროგრამების გვერდების (სოციალურ ქსელებში) და ვიდეოარხების (ვიდეოჰოსტინგებზე) რეგულარული განახლების გზით;

დ) ვებ-გვერდზე, სოციალურ ქსელ(ებ)სა და ვიდეოჰოსტინგ(ებ)ზე მასალების ატვირთვის პროცესში წარმოქმნილი პრობლემების გამოვლენა და დროული გადაწყვეტა;

ე) ვებ-გვერდის ტექნიკური ფუნქციონალური გამართულობის წინასწარ შემოწმება;

ვ) ვებ-გვერდის ფუნქციონირებაში დაფიქსირებული ხარვეზების დროული აღმოფხვრა;

ზ) ვებ-გვერდის განვითარების/საჭიროებების პროექტის/გეგმის მომზადება;

თ) გადაცემების, ანონსების, პრომოუშენის რგოლების, მულტიმედია პროდუქტების ჩაბარების/მიწოდების განრიგის შედგენაში მონაწილეობა.

მუხლი 3. სამსახურის სტრუქტურა

სამსახურში დასაქმებულია:

ა) სამსახურის უფროსი;

ბ) ვებ-გვერდის განახლების/მართვის სპეციალისტი;

გ) ვებ-გვერდის განახლების/მართვის სპეციალისტი უცხოეთის მიმართულებით;

დ) სოციალური ქსელისა და ვიდეოჰოსტინგის განახლების/მართვის სპეციალისტი.

მუხლი 4. სამსახურში დასაქმებული პირების მიერ შესასრულებელი სამუშაოები

4.1. სამსახურის უფროსი:

ა) ორგანიზებას უწევს სამსახურში დასაქმებული პირების საქმიანობას, განსაზღვრავს მათ სამუშაო გრაფიკს/განრიგს;

ბ) ორგანიზებას უწევს ვებ-გვერდის ფუნქციონალის განვითარების გეგმის შედგენას და ახორციელებს შესრულების კონტროლს;

გ) ორგანიზებას უწევს სატელევიზიო და რადიო პროგრამების ვებ-გვერდზე განთავსებას;

დ) ორგანიზებას უწევს სატელევიზიო და რადიო პროგრამების სოციალური ქსელ(ებ)ის შესაბამის გვერდებზე და ვიდეოჰოსტინგ(ებ)ის შესაბამის არხებზე განთავსებას;

ე) ავტორებთან/პროდიუსერებთან/რედაქტორებთან/რეჟისორებთან ერთად კოორდინაციას უწევს და გეგმავს სატელევიზო და რადიო გადაცემების ონლაინ სივრცეში გავრცელების /პოპულარიზაციის სტრატეგიას;

ვ) ასრულებს სხვა საქმიანობას, რომელიც გამომდინარეობს სამსახურის მიზნებიდან;

ზ) ასრულებს მაუწყებლის დირექტორისა და დირექტორის მოადგილის სამსახურებრივ დავალებებს/მითითებებს.

4.2. ვებ-გვერდის განახლების/მართვის სპეციალისტი.

ვებ-გვერდის განახლების/მართვის სპეციალისტის შრომით მოვალეობებში შედის:

ა) ვებ-გვერდზე, სოციალური ქსელ(ებ)ის შესაბამის გვერდებზე და ვიდეოჰოსტინგ(ებ)ის შესაბამის არხებზე ასატვირთი პროგრამებისა და მასალების ტექნიკური ხარისხის შემოწმება და განთავსება;

ბ) ტექნიკური ხარვეზის შესახებ სამსახურის უფროსის ინფორმირება;

გ) ვებ-გვერდზე, სოციალური ქსელ(ებ)ის შესაბამის გვერდებზე და ვიდეოჰოსტინგ(ებ)ის შესაბამის არხებზე პროგრამებისა და მასალების გრაფიკით განსაზღვრულ დროში ატვირთვა;

დ) მიმდინარე რეჟიმში ვებ-გვერდზე ტექნიკური ხარვეზების, გაუმართაობის შემთხვევების მაქსიმალური გამოვლენა/აღრიცხვა;

ე) ავტორებთან/პროდიუსერებთან/რედაქტორებთან/რეჟისორებთან შეთანხმებით სატელევიზიო და რადიო პროგრამების/მასალების ვებ-გვერდისთვის ადაპტირება, სათაურების შეცვლა/განსაზღვრა;

ვ) სამსახურის უფროსის სამსახურებრივი მითითებების შესრულება.

4.3. ვებ-გვერდის განახლების/მართვის სპეციალისტი უცხოეთის მიმართულებით.

უცხოეთის მიმართულებით ვებ-გვერდის განახლების/მართვის სპეციალისტის შრომით მოვალეობებში შედის:

ა) ვებ-გვერდზე ასატვირთი პროგრამებისა და მასალების ტექნიკური ხარისხის შემოწმება და განთავსება;

ბ) ვებ-გვერდზე პროგრამებისა და მასალების გრაფიკით განსაზღვრულ დროში ატვირთვა;

გ) მიმდინარე რეჟიმში ვებ-გვერდის ტექნიკური ხარვეზების, გაუმართაობის შემთხვევების მაქსიმალური გამოვლენა/აღრიცხვა;

დ) ქართული ენიდან უცხო ენაზე, ან პირიქით ინფორმაციის თარგმნა და გვერდზე განთავსება, გადათარგმნილი მასალის შესაბამისობასა და სიზუსტეზე პასუხისმგებლობა;

ე) სამსახურის უფროსის სამსახურებრივი მითითებების შესრულება.

4.4. სოციალური ქსელისა და ვიდეოჰოსტინგის განახლების/მართვის სპეციალისტი.

სოციალური ქსელისა და ვიდეოჰოსტინგის განახლების/მართვის სპეციალისტის შრომით მოვალეობებში შედის:

ა) მაუწყებლის სატელევიზიო და რადიო პროგრამებისთვის შექმნილი გვერდებისა (სოციალურ ქსელში) და ვიდეოარხების (ვიდეოჰოსტინგზე) სტრატეგიის შემუშავება;

ბ) მუდმივ რეჟიმში გადაცემების გვერდების და ვიდეოარხების განახლება;

გ) გადაცემების გვერდებისა და ვიდეოარხების მომხმარებელთა რაოდენობის გაზრდაზე ზრუნვა;

დ) გადაცემის ავტორთან/რეჟისორთან/რედაქტორთან შეთანხმებით გამოკითხვების, ინფოგრაფიკების, ან სხვა ციფრული კონტენტის მომზადება და აუდიტორიისთვის შეთავაზება;

ე) მაუწყებლის ვებ-გვერდზე განთავსებული მასალების სოციალურ ქსელ(ებ)ში და ვიდეოჰოსტინგ(ებ)ზე შესაბამისი ფორმატით გატანა;

ვ) მოქალაქეების წერილებზე შეთანხმებისამებრ რეაგირება;

ზ) სოციალური გვერდების და ვიდეოარხების ანალიზი, განვითარების დინამიკის კონტროლი;

თ) სატელევიზიო და რადიო პროგრამების მულტიმედია პროდუქტებად გადაქცევა და ავტორებთან, პროდიუსერებთან, რედაქტორებთან, ან რეჟისორებთან შეთანხმებით სოციალურ ქსელებში და ვიდეოჰოსტინგზე განთავსება;

ი) საჭიროების შემთხვევაში სოციალურ ქსელებში პირდაპირი ჩართვების განხორციელება;

კ) სამსახურის უფროსის სამსახურებრივი მითითებების/დავალებების შესრულება.

მუხლი 5. განსაკუთრებული დებულებები

1. სამსახურში მუდმივ, ან პერიოდულ ამოცანათა შესასრულებლად შეიძლება მიღებულ იქნენ სხვა პირები;
2. სამსახურს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მაუწყებლის დირექტორი;
3. სამსახურში კონკრეტულ პოზიციაზე ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში, სამსახური უფლებამოსილი არ არის უარი განაცხადოს ამ დებულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებაზე;
4. ამ მუხლის 3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამსახურის უფროსი შესასრულებელ სამუშაოებს ანაწილებს სამსახურში დასაქმებულ სხვა პირებზე, ან/და ასრულებს უშუალოდ;

5. სამსახურის უფროსის მოთხოვნის შემთხვევაში სამსახურში დასაქმებული ყველა პირი ადგენს და სამსახურის უფროსს წარუდგენს ყოველკვარტალურ ანგარიშს საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ;
6. სამსახურში დასაქმებულმა პირებმა თავიანთი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან/და სამსახურში არსებული სხვა ხარვეზების შესახებ წერილობითი ინფორმაცია უნდა მიაწოდონ მაუწყებლის დირექტორს გონივრულ ვადაში;
7. სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია მაუწყებლის დირექტორის წინაშე. სამსახურის უფროსი პასუხისმგებელია სამსახურში დასაქმებული პირების მიერ ამ დებულებით გათვალისწინებული ფუნქციების ჯეროვნად შესრულებაზე;
8. სამსახური პერიოდულად, მაგრამ არანაკლებ ექვს თვეში ერთხელ, ახორციელებს სამსახურის საქმიანობის ანალიზს.

მუხლი 6. დასკვნითი დებულება

1. სამსახურის ყველა თანამშრომელი ვალდებულია შეასრულოს წინამდებარე დებულება. დებულების შეუსრულებლობა განიხილება დისციპლინურ გადაცდომად და დასაქმებულის მიმართ გატარდება მაუწყებლის შრომის შინაგანაწესით გათავლისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.
2. სამსახურის დებულების გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება მაუწყებლის დირექტორის ბრძანებით.